



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 23 თებერვალი

**დისციპლინური საქმე №43/19-1
ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს 2019 წლის 07 მარტს ყოფილი მოსამართლე, -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნით, ერთობლივი №-- საჩივრით მომართეს -- -- და -- --.

1. საჩივრის ავტორების მიერ მითითებული გარემოებები

საჩივრის ავტორების განცხადებით, მოსამართლე -- -- დაარღვია კანონი და პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო უკანონო ბრძანება ბრალდებულის, -- -- მეუღლის, -- -- საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

მოსამართლე -- -- 2007 წლის 07 ივნისის ბრძანებით დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ბრალდებულის, -- -- მეუღლის, -- -- საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 18 აპრილის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- -- №-- გადაწყვეტილების საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირადი სურვილით, -- -- გათავისუფლდა -- -- მოსამართლის თანამდებობიდან.

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, ის არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით, ვინაიდან, არ არსებობს -- --, როგორც მოსამართლის მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების საფუძველი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- -- №-- გადაწყვეტილების საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირადი სურვილით, -- -- გათავისუფლდა -- -- მოსამართლის თანამდებობიდან.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- და -- -- 2019 წლის 07 მარტის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლის, -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი